www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 19 ივნისი, 2012 წელი. | №3042 (135) | ფასი 50 თეთრი

ლიფტი მხოლოდ წვრილმანია

უხერხულობანი საერთო ინტერესების ფონზე

სოფო კილასონია

რამდენიმე დღის წინ იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ გამოსცა მორიგი მიმოხილვა, სადაც წერია, რომ საქართველოს ბაგრატის ტაძარი აღარ აკმაყოფილებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს და რომ მას დაკარგული აქვს ავთენტურობა. დოკუმენტად გამოცემული განცხადება სახიფათოა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაგრატი მისი სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებიდან მალე ჩამოაქვეითეს ე.წ. წითელ სიაში.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

რადიკალიზმი და "კარდაკარი"

მაგდა ლეკიაშვილი

მაშინ, როდესაც სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ "კარდაკარი" თითქმის დაასრულა, ალტერნატიული "კარდაკარის" ჩატარებას სხვადასხვა გაერთიანებები იწყებენ. საზოგადოებრივი მოძრაობა "ამომრჩეველთა ლიგა" ერთ-ერთია, რომელიც საკუთარი რესურსით ცდილობს მოსახლეობის გადამოწმებას ამომრჩეველთა ერთიან სიაში. დღეიდან გაერთიანების რეგისტრატორები ჯერ მხოლოდ თბილისისა და ზუგდიდის მცხოვრებლებს შეამოწმებენ. "ამომრჩეველთა ლიგის" ხელმძღვანელი კოკა გუნცაძე ამბობს, რომ მათი მიზანია სამართლიანი არჩევნების ჩატარება. "24 საათთან" საუბარში გუნცაძე კიდევ ერთხელ გამოხატავს უნდობლობას სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიისადმი. გუნცაძე მიიჩნევს, რომ მათ მიერ ჩატარებული "კარდაკარი" დადებს რეალურ სურათს და მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას, თუ რა ვითარებაა თბილისსა და ზუგდიდში ამომრჩეველთა ერთიანი სიის მხრივ.

"ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, გვენდობიან თუ არა პოლიტიკური ორგანიზაციები; ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ საზოგადოების მხარდაჭერა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

საბერძნეთის არჩევნების "იმედისმომცემი" შედეგები

ივა შილაკაძე

საბერძნეთში კვირას გამართული განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები იმაზე გაცილებით ოპტიმისტური შედეგით დამთავრდა ქვეყნისა და ევროზონისთვის, ვიდრე ამას ექსპერტები და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტები მაისში პროგნოზირებდნენ. თუმცა სრული სიცხადე ჯერჯერობით არ არის და არც იქნება, სანამ არ მოხერხდება მყარი სამთავრობო კოალიციის შექმნა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პრემია "საბას" ფინალისტები

ლიტერატურული კონკურსი საბას" ჟიურიმ წლევანდელი ფინალისტები გამოავლინა. **კონკურსზე წარდგენილი 188 წიგნიდან, ფინალურ ეტაპზე, 42 საუკეთესო მოხვდა.**

ივნისის მიწურულს თიბისი ბანკში "საბას" **რიგით მეათე საზეიმო დაჯილდოება** გაიმართება. საბას" პრიზებსა და ფულად პრემიებს 2011 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები მიიღებენ.

საპრემიო ფონდი **40 ათას ლარს** შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

"საბა" წელსაც, ტრადიციულად, 9 ნომინაციაში გაიცემა. წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. ზვიად კვარაცხელია, **ყიფლიბანდი** (ინტელექტი)
2. ზურაბ ლეჟავა, **სინაღდე სიყალბისა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. მიხო მოსულიშვილი, **მადლის ქვა** (სიესტა)
4. დავით ქართველიშვილი, **6 სიზმარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. ცირა ყურაშვილი, **ხიზნები კომანის მონასტერთან** (ინტელექტი)
6. ბესო ხვედელიძე, **წითელი** (საუნჯე)

წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. ცირა ბარბაქაძე, **უცხოქალაქი** (უნივერსალი)
2. ელგუჯა მარღია, **ნაბადი** (სვეტი)
3. პაატა შამუგია, **დაუჯდომელი** (სიესტა)
4. ვაჟა ხორნაული, **სიტყვები - სიყვარულის თვალები** (თობალისი)
5. კატო ჯავახიშვილი, **ჭუპრი** (საუნჯე)

წლის საუკეთესო რომანი

1. ზაზა ბურჭულაძე, **გასაბერი ანგელოზი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. აკა მორჩილაძე, **Obole** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ირაკლი სამსონაძე, **ლეასსაათი** (ინტელექტი)
4. ზურაბ ქარუმიძე, **მელია ტულეფია: Foxtrot** (სიესტა)

წლის საუკეთესო დებიუტი

1. ეკატერინე ახვლედიანი, **ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმი"** (დიოგენე)
2. სალომე ბენიძე, **მოხსენებითი ბარათი** (ინტელექტი)
3. ნინო გუგეშაშვილი, **ფეისკონტროლი** (დიოგენე)

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6363₾
1 ევრო		2.0645₾
1 ინგლისური გირვანქა		2.5440₾
1 თურქული ლირა		0.9010₾
100 რუსული რუბლი		5.0512₾
თბილისი		32°C - 18°C
ქუთაისი		29°C - 18°C
თელავი		32°C - 16°C
ზუგდიდი		27°C - 17°C
ბათუმი		26°C - 17°C
ნავთობი	2.61	-0.03 -1.23%
გაზი	2.61	+0.14 +5.48%
ოქრო	1,629.50	+1.40 +0.09%
ხორბალი	630.25	+20.75 +3.29%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

რა თქმა უნდა - ესპანეთი და იტალია!

სოსო კოტორეიშვილი

მთელი საფეხბურთო ევროპა იმის მოლოდინში იყო, "გააგორებდნენ" თუ არა 2:2-ს ესპანეთი- ხორვატია და ჩატოვებდნენ იტალიას ჯგუფში. თამაშების დაწყებამდე სპორტული მედია სწორედ ამაზე ბჭობდა და მეტოქეთა მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც უხვად არიგეს კომენტარები.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

იტალია მეოთხედფინალშია

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

დავით ბაქრაძემ წარმატებული მოსწავლეები დაასაჩუქრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის საჯარო სკოლების 150 მეათეკლასელს პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა 2012 წელს წარჩინებით დაამთავრეს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები).

წელს, საქართველოს მასშტაბით, კომპიუტერებით სულ 1022 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება. პროექტი პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოს სკოლების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, წარჩინებულ მოსწავლეთა ამ მიმართულებით წახალისება მომავალშიც გაგრძელდება.

"ლეიბორისტები" სააკაშვილსა და ივანიშვილს "ფარულ თანამშრომლობაში" ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტია" მიხეილ საკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს ფარულ თანამშრომლობასა და გარიგებაში ადანაშაულებს. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გუშინდელ პრესკონფერენციზე განაცხადა, მაშინ როდესაც, გულანთებული მოსახლეობა 27 მაისს რეჟიმის შეცვლის სურვილით "თავისუფლების მოედანზე" იკრიბებოდა, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ მათგან დაფარულად საკაშვილისა და ივანიშვილის ხალხი 26 მაისს ერთად ზეიმობდა.

გუგავას განმარტებით, "სოროსიზმის ფუძემდებელი საქართველოში, ანტიეროვნულობისა და ანტიმართლმადიდებლობის მთავარი იდეოლოგი", საკაშვილის ემისარი გაერო-ში კახა ლომაია და ივანიშვილის "ოცნების" ლიდერები 26 მაისს ნიუ იორკში სრულიად შეხმატკბილებულები ატარებდნენ ერთობლივ აქციას.

"ეს არის უტყუარი მტკიცებულება კრიმინალოლიგარქისა და დიქტატორის ფარული თანამშრომლობისა და გარიგებისა, თუ როგორ აპირებენ არჩევნების შემდეგ ქართველი ხალხის გაბითურებასა და ძალაუფლების გადანაწილებას," - განაცხდა მან.

გუგავამ პრესკონფერენციაზე აღნიშნული ერთობლივი აქციის ფოტომასალაც წარმოადგინა.

გრიგოლ ვაშაძემ ისრაელის პარლამენტის დეპუტატები მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ საქართველო-ისრაელის მეგობრობის ჯგუფიდან ისრაელის პარლამენტის დეპუტატები მიიღო.

საგარეო უწყების ინფორმაციით, დელეგაციას ქნესეთის წევრი ავრაამ მიხაელი ხელმძღვანელობს.

შეხვედრის დროს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები განიხილეს. მხარეებმა ორმხრივი სამართლებლივი ბაზის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე ისაუბრეს, რაც, სამინისტროს შეფასებით, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

გურიაში სოფლები დაიტბორა

ძლიერმა წვიმამ გუშინ გურიაში წყალდიდობა გამოიწვია. დატბორილია ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები.

განსაკუთრებით დაზარალდა ოზურგეთის რაიონის სოფელი ურეკი, სადაც წყლის დონემ ნახევარ მეტრს მიაღწია და 100-მდე მოსახლე დატბორა. რთული მდგომარეობაა სოფელ წყალწმინდაშიც.

როგორც "ინტერპრესნიუსი" მხარის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, მოსახლეობის სახლებში ადიდებულმა მდინარეებმა და ხევებიდან ჩამოსულმა წყალმა შეაღწია, მაღალმთიან სოფლებში ფიქსირდება მეწყერის შემთხვევები, დახოცილია შინაური ფრინველი.

გუბერნატორის ცნობითვე, დატბორილ სოფლებში სპეციალური სამაშველო ჯგუფები იმყოფებიან, რომლებიც მოსახლეობას დახმარებას აღმოუჩენენ.

ჯერჯერობით უცნობია ზარალის ოდენობა.

ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის გადახდის ვადა გუშინ ამოეწურა

"ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს კონტროლის პალატის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმების გადახდის ვადა გუშინ ამოეწურა.

ვადის ამოწურვის შემდეგ, კონტროლის პალატამ აღსრულების ფურცლით სასამართლოს უნდა მიმართოს, რის შემდეგაც საქმეში აღსრულების ეროვნული ბიურო ჩაერთვება. ხუთი დღის ვადაში აღსრულების ბიურო ივანიშვილს მიმართავს, გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა, რისთვისაც კიდევ დამატებით 7 დღეს განუსაზღვრავს. თუ ბიძინა ივანიშვილი კვლავ არ გადაიხდის ჯარიმას, აღსრულების ეროვნული ბიურო გადაწყვეტს, რა იძულების გზით ამოიღოს აღნიშნული თანხა.

კონტროლის პალატის ორი ოქმის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილი ჯამში - 148 650 131 ლარით დაჯარიმდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც ჯარიმები შეამცირა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილს ჯარიმა - 74 325 065 ლარ? აქვს გადასახდელი.

თუმცა, ბიძინა ივანიშვილი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას, ჯარიმის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, სამართლიანად მიიჩნევენ კოალიცია "ქართული ოცნების" წევრები, რადგან მათი განმარტებით, ამ ქმედებით, ხელისუფლების უკანონობის გამო, ბიზნესმენი უკანონო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას არ აიღებს.

"ბიძინა ივანიშვილი აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად იმოქმედებს. არ ვაპირებთ, აღსრულების ბიუროს ვუკარნახოთ, რა უნდა მოიმოქმედოს ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ," - აცხადებს ეკა ბესელია.

"თუ ივანიშვილი არ გადაიხდის ჯარიმას, მაშინ მის პირად საკუთრებაში არსებული და არა მისი ნათესავების უძრავ-მოძრავი ქონება, აუქციონის წესით გაიყიდება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხა კონტროლის პალატის ჯარიმას ვერ დაფარავს, მაშინ შესაძლოა, ივანიშვილის სახლეზე გაფორმებული ქონება საზღვარგარეთაც გაიყიდოს. თუმცა, აქ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი: იმ ქვეყნის კანონმდებლობა საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს," - განმარტავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ბექა დოჭვირი. მისივე თქმით, ივანიშვილისგან, როგორც ფიზიკური პირისგან, თანხის ამოღება აღსრულების ბიუროს სხვა გზითაც შეუძლია.

"შესაძლოა, აღსრულების ბიურომ თანხა სეკვესტრის გზით ამოიღოს. ამ შემთხვევაში, დაინიშნება სეკვესტრის მმართველი, რომელიც ივანიშვილის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას გარკვეული პერიოდით, მაგალითად, 1 წლის ვადით განკარგავს და ჯარიმის თანხის ამოღების შემდეგ, კუთვნილი ქონება ივანიშვილს უკან დაუბრუნდება. აღსრულების ეროვნული ბიურო იმ გზას აირჩევს, რომელიც მისთვის უფრო ეფექტური და მისაღები იქნება," - აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი.

როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებას "ქართული ოცნების" ლიდერი არ აღ?სრულებს, ჯერჯერობით უცნობია.

საკუთარი ინფორმაცია

კონფერენცია დაზარალებულის უფლებებზე

პროკურატურის ინიციატივითა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, ბათუმში კონფერენცია გაიხსნა, რომელიც დაზარლებულის უფლებებს, მისი დაცვისათვის გასატარებელი ღონისძიების ანალიზს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში, მთავარი პროკურატურის გარდა, შსს-ს, სასჯელაღსრულების, იურიდიული დახმარებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები და ამ საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ბათუმის კონფერენციით საქართველოში დაზარალებულის კვირეული გაიხსნა.

"საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოება, დანაშაულის მსხვერპლთა რაოდენობის შემცირება, დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალური დაცვა - საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. "დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის" უკანასკნელი მონაცემებით, გამოკითხულთა მხოლოდ 1.2 პროცენტი გახდა დანაშაულის მსხვერპლი გასული წლის განმავლობაში, უსაფრთხოების განცდა კი გამოკითხულთა 85 პროცენტს აქვს.

კონფერენციის მონაწილეებმა პროკურატურის ახალი პროექტის - "მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის" პრეზენტაცია მოისმინეს, გაეცნენ დანაშაულის სტატისტიკის უახლეს მონაცემებს, განიხილეს დაზარალებულისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის დეტალები და იმსჯელეს ოჯახური ძალადობის საკითხებზე," - აცხადებენ პროკურატურის წარმომადგენლები.

კონფერენცია 19 ივნისს დასრულდება. მეორე სამუშაო დღეს სემინარის მონაწილეები ტრეფიკინგის პრობლემებზე ისაუბრებენ და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

დაზარალუბულის კვირეულის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროში გაიმართება სამომხმარებლო კმაყოფილების კვლევის პრეზენტაცია, მრგვალი მაგიდა, შეხვედრები, დისკუსიები, სადაც დაზარალებულის უფლებების დაცვაზე, ამ მხრივ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე ისაუბრებენ.

"მოწმისა და დაზარალებულის კო?რდინატორის" სამსახური 2011 წლის აგვისტოდან მოქმედებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. წელს მისი არეალი გაფართოვდა - პროგრამამ თელავი, ზუგდიდი და გორიც მოიცვა. სამსახურის მიზანი სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოწმეებისა და დაზარალებულებისადმი სამართლიანი და ღირსეული მოპყრობის უზრუნველყოფა და მათთვის საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიწოდებაა.

საკუთარი ინფორმაცია

ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი ვიდეოკამერამ დააფიქსირა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი მამუკა ჯიბლაძე 17 ივნისს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა. როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ განაცხადა, ჯიბლაძე სასტუმრო "ჰოლიდეი ინის" ვიდეოკამერებმა დააფიქსირა.

"ამოვიღეთ ვიდეომასალა და ჯიბლაძის მეგობარს ვაჩვენეთ. მან ამოიცნო მამუკა ჯიბლაძე," - განაცხადა ზურაბ გვენეტაძემ. თუმცა, მამუკა ჯ?ბლაძის გამოჩენასთან დაკავიშრებით, უამრავი კითხვა გაჩნდა, რაზეც ზურაბ გვენეტაძემ გვიპასუხა: "შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობს და დამატებით ინფორმაციას მოგვიანებით მოგაწვდით."

მამუკა ჯიბლაძე სახლიდან 11 ივნისს, დღის 2 საათზე გავიდა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სემინარს უნდა დასწრებოდა, შემდეგ კი მას სამსახურებრივი სხვა შეხვედრაც ?ქონდა დაგეგმილი. თუმცა, არც ერთ ადგილზე მამუკა ჯიბლაძე არ მისულა.

მომხდარის გამო, ოჯახის წევრებმა პოლიციას შეატყობინეს. გამომძიებელი იყო მამუკა ჯიბლაძის ბინაშიც.

52 წლის მათემატიკოსს საზღვარგარეთ კარგად იცნობდნენ. იგი მოსწავლეთა კომპიუტერზე ადაპტირებული საატესტატო გამოცდების (CAT) ალგორითმის ავტორია.

მომხდართან დაკავშირებით, ვერსიები არც გამოცდების ეროვნულ ცენტრში გააჩნიათ. 11 ივნისს მამუკა ჯიბლაძე ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, მაია მიმინოშვილს უნდა შეხვედროდა.

საკუთრი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რადიკალიზმი და "კარდაკარი"

პირველი გვერდიდან

მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს ვის ენდობა - სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიას, რომელიც სააკაშვილის მიერ არის ფორმირებული და გასაგებია, რა მიზნით, თუ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელსაც თავისი წარსული აქვს და თავისი გზა გამოიარა უსამართლობასთან ბრძოლაში," - ამბობს კოკა გუნცაძე.

გასული წლის დეკემბერში საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად ამომრჩეველთა ერთიანი სიების ფორმირებაზე პასუხისმგებლობა სიების დაზუსტების კომისიას დაეკისრა. ამ უწყების გარდა, ჩასწორებებს სიაში ვერავინ განახორციელებს. სწორედ ამიტომ, კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ გასულ კვირას პოლიტიკურ პარტიებს თანამშრომლობა და ალტერნატიული "კარდაკარის" შედეგების სახელმწიფო კომისიისთვის მიწოდება შესთავაზა. "ამომრჩეველთა ლიგა" არ აპირებს კომისიასთან თანამშრომლობას. როგორც კოკა გუნცაძე ამბობს, ისინი თავად იწყებენ კამპანიას უზუსტობების წინააღმდეგ და მიზანი მხოლოდ ამ უზუსტობების საზოგადოებისთვის დანახებაა. ივნისის ბოლოს ალტერნატიული "კარდაკარის" ჩატარებას აპირებენ "ქართულ ოცნებაში". სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიისადმი გამოხატული უნდობლობის მიუხედავად, კოალიციის წევრები კომისიასთან მაინც ითანამშრომლებენ. კაციტაძის თქმით, მათ მიმართ "ქართულ ოცნებას" მაინცდამაინც დიდი უნდობლობა არა აქვს. უფრო მეტიც, კომისიისთვის ინფორმაციის მოწოდებას აპირებენ. კომისიაში უკვე მიიტანეს "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ოლქის პასპორტი (დოკუმენტი, სადაც პარტიები აღრიცხავენ საკუთარ მხარდამჭერებს უბნების მიხედვით), სადაც, გარდა იმისა, რომ კონკრეტული კოალიცია თავის მხარდამჭერებს იკვლევს, ამავდროულად აკინძულია მოქალაქეების სხვადასხვა განცხადებები გარდაცვალებისა და საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ. საინტერესო კი ის არის, რომ ორივე განცხადების ადრესატი მამუკა კაციტაძეა.

სიების დაზუსტების სახელმწიფო უწყებას საკუთარი "კარდაკარის" შედეგებს გადაუგზავნიან პარტიები "თავისუფალი საქართველო" და "დემოკრატიული მოძრაობა".

სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ მისი უწყება სიების გადამოწმების პარალელურ "კარდაკარებში" ვერაფერ კონკურენტულს ვერ ხედავს. მაგრამ სიებში აღმოჩენილმა უზუსტობებმა საბოლოოდ აუცილებლად სიების კომისიაში უნდა მოიყაროს თავი. ამის შესახებ "24 საათთან" საუბარში კაციტაძემ "ამომრჩეველთა ლიგის" მიერ ალტერნატიული "კარდაკარის" ჩატარების პასუხად განაცხადა.

"თუ ალტერნატიულ "კარდაკარს" ეს მიზანი არა აქვს და გაერთიანებას, უბრალოდ, სურს, სიების კომისიის მუშაობა გააკრიტიკოს, ჩვენ ამ კრიტიკაზეც ადეკვატური რეაქცია გვექნება. პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჩვენამდე ინფორმაცია დროულად თუ არ მოიტანეს, ეს შესწორებები სიაში არ შევა და მათი მხრიდან გარკვეული მონაცემებით მანიპულირება მოხდება. პირადად ჩემი სურვილია, "ამომრჩეველთა ლიგამაც" და სხვა გაერთიანებებმაც ჩვენთან ითანამშრომლონ," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ. სიების კომისიის თავმჯდომარე იმასაც ამბობს, რომ თავის დროზე სწორედ სიების კომისიამ დააკმაყოფილა პოლიტიკური და სხვა გაერთიანებების, მათ შორის "ამომრჩეველთა ლიგის", მოთხოვნა და მათ სიების სამუშაო ვერსია მიაწოდა.

სიების დაზუსტების კომისიას არასამთავრობო ორგანიზაციამ "ამომრჩეველთა ლიგამ" და "რესპუბლიკურმა პარტიამ" ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადაცემის თხოვნით მიმართეს. ამ გაერთიანებებს სახელმწიფო უწყებისგან იმ მონაცემების მიღება სურდათ, რომელიც კომისიამ "კარდაკარის" რეგისტრატორებისთვის მოამზადა, სანამ ისინი პროექტ "კარდაკარს" დაიწყებდნენ. ამომრჩეველთა ერთიანი საჯარო სიისგან განსხვავებით (რომელიც უკვე დევს კომისიის და, ასევე, ცესკო-ს ვებგვერდზე), სიის სამუშაო ვერსიაში ამომრჩევლები ოლქებად, არეალებად და სექტორებად არიან დაყოფილი.

კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ სამუშაო ვერსიის განსაჯაროებას არც საარჩევნო კოდექსი ითხოვს და არც "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი". მიუხედავად ამისა, კომისიამ გადაწყვიტა, "რესპუბლიკელებისა" და "ამომრჩეველთა" ლიგის" თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

მშპ 6,8 პროცენტით გაიზარდა

მაგდა ლეკიაშვილი

მთავრობის კანცელარიაში მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერმა ნიკა გილაურმა მინისტრთა კაბინეტს პირველი კვარტლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. სტატისტიკის დეპარტამენტმა პირველად მონაცემები უკვე შეაჯამა და გადაცა მთავრობას კონკრეტული ციფრები როგორც საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, ასევე პირდაპირ ინვესტიციებზე. გილაურის თქმით, პირველი 5 თვის მონაცემებით, საქართველოში საგარეო ვაჭრობა გაიზარდა, დაახლოებით, 19-20 პროცენტით: იმპორტი - 21-22 პროცენტით, ხოლო ექსპორტი - 12-13 პროცენტით. პრემიერი თქმით, ეს არ არის ცუდი მაჩვენებელი და ამ წლის პირველი კვარტალი ერთ-ერთი წარმატებული კვარტალი იყო ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი ინვესტიციების კუთხით.

"საქართველოში 270 მილიონი დოლარი შემოვიდა და ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყანა გერმანია იყო. თუ გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებს შევადარებთ, ზრდა, დაახლოებით, 60-65-პროცენტიანია. ეს რეალურად არის სამუშაო ადგილების შექმნაში ჩადებული ინვესტიცია. ჩვენი მიზანი სწორედ უმუშევრობის დონის შემცირებაა," - განაცხადა ნიკა გილაურმა. მან ასევე ისაუბრა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზეც. გილაურის თქმით, ბოლო რამდენიმე თვეის განმავლობაში სტატისტიკის დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობდა მონაცემთა ბაზის გამოსწორებაზე. თუ დაუკვირვებადი ეკონომიკის ნაწილი იყო 20-21 და ხშირად 22 პროცენტი, ახლა ეს შემცირებულია 13- 14 პროცენტამდე, ანუ მონაცემებში ცდომილება შეიძლება, სწორედ 13-14 პროცენტი იყოს.

"ბევრად უფრო სწორი ინფორმაცია გვაქვს ყოველდღიურ ეკონომიკურ საქმიანობაზე საქართველოში. პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი 6.8 პროცენტით არის გაზრდილი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია რეგიონში და შესაძლოა, მსოფლიოშიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ეკონომიკა დღეს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. მათ ეკონომიკური ზრდის მხრივ სერიოზული პრობლემები აქვთ," - ამბობს ნიკა გილაური.

პრეზიდენტი პარლამენტს ახალ ელჩებს სთავაზობს

პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე ცხრა ახალი ელჩის დამტკიცებას აპირებს. ელჩობის კანდიდატები პრეზიდენტმა გუშინ ბიუროს წარუდგინა.

ესპანეთში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ირაკლი ყურაშვილი შვეიცარიის ელჩობის კანდიდატია. ბელარუსში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი დავით კოტარია ამავე ქვეყნის ელჩი გახდება; არგენტინაში საქართველოს საგანგებო და სრუფლებიანი ელჩი ალექსანდრე ლაცაბიძე კანადაში ამავე თანამდებობაზე გადადის (ის ასევე იქნება საქართველოს წარმომადგენელი საერთაშორისო საქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (IKAO)). ხოლო, კანადაში მივლენილი დიპლომატი ლევან მეტრეველი დიპლომატიურ საქმიანობას ბულგარეთში გააგრძელებს; არგენტინაში კი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე პრეზიდენტმა პარლამენტს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გელა სეხნიაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. პრეზიდენტმა პარლამენტს ეთიოპიაში ელჩობის კანდიდატად - ვახტანგ ჯაოშვილი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში - ბექა დვალი, ინდონეზიაში - ზურაბ ალექსიძე და თურქეთში ზურაბ პატარაძე წარუდგინა.

გუშინ ბიუროზე საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების პროექტიც დარეგისტრირდა. კანონპროექტის ინიციატორები არიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ანდრო ალავიძე და გურანდა ჯაბუა. პროექტის თანახმად, მშენებლობის ზედამხედველობის ორგანო, სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის უფლებას მიიღებს. გარდა ამისა, დგინდება მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი, რომლის გადახდაც მშენებლებს მოუწევთ. კანონპროექტის კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ მოსაკრებლის ოდენობასა და გადახდის წესს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო განსაზღვრავს. მოსაკრებლის მაქსიმალური ზღვარი 7000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. აკრეფილი თანხა კი ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირდება.

საკუთარი ინფორმაცია

ჩეხეთის ელჩმა გალის შეხვედრების აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ სოხუმში საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ივან იესტრჟაბი მიიღო. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე დიალოგისთვის მზაობის სურვილი დააფიქსირა და ამ კუთხით ჩეხეთის პოზიციით დაინტერესდა.

"აფხაზეთი ევროპის ნაწილია. ჩვენ მომხრე ვართ, რომ ჩვენ შესახებ მეტი იცოდნენ. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, თქვენი თვალით ნახოთ, რომ რესპუბლიკა დინამიკური, თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს," - მიმართა ელჩს ჩირიკბამ.

შეხვედრაზე მხარეებმა გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ჩაშლილი შეხვედრების შესახებ ისაუბრეს. ელჩმა მოუწოდა მხარეებს, რომ ეს ფორმატი აღდგეს.

"ეს არის ფორმატი, რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ. ჩეხეთი არის ევროკავშირის წევრი და ჩვენი დიპლომატები აქტიურად არიან ჩართულები სამხრეთ კავკასიის შესახებ საკითხების განხილვაში. ჩვენ ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავცვალოთ აზრები და მივაღწიოთ კომპრომისს," - აღნიშნა ელჩმა.

მაია ფანჯიკიძე ოზურგეთის აქციით კმაყოფილია

"ოზურგეთში გუშინდელი აქცია ყველა დროის ყველაზე დიდი აქცია იყო გურიაში," - ამის შესახებ "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა და გურულებს აქციაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, გურიაში "ქართულ ოცნებას" მიეცა საშუალება, ყველაფერი საკუთარი სცენარის მიხედვით წარემართა, რაც ვერ მოხერხდა ქუთაისში იქ მომხდარის ტრაგედიის გამო.

"იმედი მაქვს, რომ გურიაში დასახელებული მაჟორიტარები დღეიდან დაიწყებენ მუშაობას და არჩევნებში წარმატებას მიაღწევენ. გუშინდელი აქცია ძალიან სასიამოვნო აქცია იყო, ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრო, წვიმამაც კი მოიცადა და აქციის დასრულების შემდეგ დაიწყო," - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, მცხეთა-მთიანეთში 1 ივლისს დაგეგმილი აქციაც მასშტაბური იქნება.

ეროვნული გამოცდების შედეგები 25 აგვისტოს გახდება ცნობილი

აბიტურიენტები გამოცდების საბოლოო შედეგებს 25 აგვისტოს შეიტყობენ. გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ 25 აგვისტო იქნება ბოლო თარიღი, როდესაც ნებისმიერ აბიტურიენტს ეცოდინება, თუ რომელ ფაკულტეტზე მოხვდა და რა ოდენობის გრანტი მოიპოვა.

მანამდე კი, ეტაპობრივად, თითოეული გამოცდის შემდეგ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება აბიტურიენტების მიერ ჩაბარებული გამოცდების ქულები. წელს მთელი საქართველოს მასშტაბით, 17 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 28 ივნისს დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება.

"ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას გაზიფიცირების პროცესის ხელშეწყობისკენ მოუწოდებენ

"ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას გაზიფიცირების პროცესში ხელისშეწყობისკენ მოუწოდებენ. როგორც "ინტერპრესნიუსი" პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, "ახალი მემარჯვენეები" ფოთში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლასა და გაზიფიცირების საკითხებზე მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს გამოეხმაურნენ.

"ახალი მემარჯვენეების" ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ განაცხადა, რომ როგორც იქნა, საქართველოს პრეზიდენტმა ფოთში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს აღიარა, რომ რაიონებში გაზიფიცირების პროცესში სერიოზული შეფერხებებია, რადგან კომპანიები კაბალურ პირობებს აყენებენ.

"ახალი მემარჯვენეები" დიდი ხანია, სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ვსაუბრობთ და არაერთი პრესკონფერენციაც მივუძღვენით იმ ფაქტს, რომ მოსახლეობას გაზის საკუთარ ოჯახებში შეყვანის საფასურის ერთბაშად გადახდის შესაძლებლობა არა აქვთ. "სოკარი" და "იტერრა" მონოპოლისტი კომპანიები არიან და რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების სტანდარტებსა და ფასებსაც დამოუკიდებლად, საკუთარი სუბიექტური შეხედულებებისამებრ აწესებენ," - აცხადებს კალანდაძე.

მისივე თქმით, რაიონებსა და განსაკუთრებით სოფლებში მოსახლეობას სახლებში გაზის შეყვანა კაბალური პირობებით უწევთ. ამ მიზნით "სოკარიც" და "იტერაც" ოჯახებს 500-600 ლარს და რიგ შემთხვევებში, 700 ლარამდე თანხასაც კი ახდევინებენ.

საბერძნეთის არჩევნების "იმედისმომცემი" შედეგები

პირველი გვერდიდან

ეს კი მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ შეიძლება მოხდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (საარჩევნო კომისია ამ სტრუქტურის ნაწილია) გამოცხადებული წინასწარი შედეგები თითქმის დაემთხვა "ეგზიტპოლების" შედეგებს, რომლებიც უკვე მოყვანილი იყო "24 საათის" გუშინდელ სტატიაში. ბიულეტენების 99,9 პროცენტის დათვლის შემდეგ პირველ ადგილზეა მემარჯვენე ცენტრისტული "ახალი დემოკრატია" - 29,7 პროცენტით. მეორე ადგილზე გავიდა მემარცხენე რადიკალური კოალიცია "სირიზა", რომელსაც 26,9 პროცენტი აქვს, ხოლო მესამე ადგილზე გასული სრულიად ბერძნული სოციალისტური პარტია ("პასოკი") 12,3 პროცენტით "დაკმაყოფილდა". ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს პარტია ბოლო 4 ათწლეულის განმავლობაში საბერძნეთში წამყვან როლს ასრულებდა, მაგრამ მასვე ბრალდება მკაცრი ეკონომიის ზომების შემოღება და სასესხო კრიზისთან წარუმატებელი ბრძოლა.

საბერძნეთში მოქმედი კანონის შესაბამისად, არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია დამატებით იღებს 50 მანდატს და ამ "პრემიასთან" ერთად ანტონის სამარასის "ახალ დემოკრატიას" 300-კაციან პარლამენტში 129 მანდატი ექნება. კოალიცია "სირიზას" (ლიდერი - ალეკსის ციპრასი) შეხვდა 71 მანდატი, "პასოკს," შესაბამისად, 33 მანდატი. დანარჩენი ადგილები უფრო წვრილმა პარტიებმა დაიკავეს, როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ფლანგიდან.

ქვეყანაში ძირითადი დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებს შორისაც და საზოგადოებაშიც არის ევროპის დახმარების მიღების პირობებზე. მემარცხენეები, "სირიზას" თაოსნობით, ევროზონის ქვეყნებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმას ემხრობიან და უკიდურეს შემთხვევაში ევროს ზონის დატოვებაზეც შეიძლება "წავიდნენ". ამ აზრს იზიარებს ზოგი წვრილი მემარჯვენე პარტიაც. ხოლო მემარჯვენე და მემარცხენე ცენტრისტები - "ახალი დემოკრატია" და "პასოკი" - ევროპის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას და მკაცრი ეკონომიის ზომების გატარებას ემხრობიან. ეს გულისხმობს ქვეყნის დარჩენასაც ევროს ზონაში. ეს ვალდებულებები ევროპის დახმარების სანაცვლოდ სწორედ ამ პარტიებმა იკისრეს, რადგან უმრავლესობა წინა მოწვევის პარლამენტში მათ ხელში იყო.

საზოგადოების დაახლოებით ნახევარს არ მოსწონს მკაცრი ეკონომიის ზომები, ეს მათ შემოსავლებზე პირდაპირ აისახება, მაგრამ ევროს ზონის დატოვება მოსახლეობის 70 პროცენტს არ უნდა. არჩევნების შედეგებში გაურკვევლობას ქმნის სწორედ მოსახლეობის ნაწილის გაორებული მდგომარეობა. ეტყობა, ამომრჩეველთა ნაწილი ვერ აცნობიერებს, რომ ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა და თან ევროზონაში დარჩენა, მით უმეტეს, შეპირებული დახმარების დანარჩენი ნაწილის მიღება ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია.

მაისში ექსპერტების უმრავლესობა შიშობდა, რომ ამ რიგგარეშე არჩევნებში "სირიზას" შეიძლებოდა მეტი ხმები მიეღო, ვიდრე 6 კვირის წინ. მათ მართლაც მიიღეს მეტი ხმები, მაგრამ ისევ სხვა მემარცხენეების, უფრო კი "პასოკის" ხარჯზე. გაიზარდა "ახალი დემოკრატიის" მანდატების რაოდენობაც და ეს გარკვეული იმედის საფუძველს ქმნის. უმრავლესობის მოსაპოვებლად მათ მხოლოდ 22 მანდატი სჭირდებათ. უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად სავარაუდო ვარიანტების შესახებ გუშინ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია გავრცელდა. პრეზიდენტმა კოალიციის შექმნა ჯერ, ცხადია, ანტონის სამარასს შესთავაზა. "სირიზას" ახალგაზრდა ლიდერმა ალეკსის ციპრასმაც აღიარა, რომ "ახალი დემოკრატიის" ლიდერს ეს უფლება ეკუთვნის. ზოგი მონაცემებით, "პასოკი" მემარჯვენე ცენტრისტებთან ალიანსში შესვლის წინააღმდეგია. ისინი ფართო კოალიციას ემხრობიან, "ახალი დემოკრატიის," "პასოკის," "მემარცხენე დემოკრატებისა" და "სირიზას" მონაწილეობით. ვნახოთ, აქედან რა გამოვა. "ახალი დემოკრატიისა" და "სირიზას" პოზიციების შეთანხმება არარეალურია. მიმომხილველთა ნაწილი მაინც ვარაუდობს, რომ შეიძლება მოხერხდეს შეთანხმების მიღწევა ერთ პოზიციაზე მყოფ მემარჯვენე ცენტრისტებსა და მემარცხენე ცენტრისტებს ანუ "ახალ დემოკრატიასა" და "პასოკს" შორის. ამ ვარიანტის მისაღწევად, შეიძლება, ორივე პარტიაზე ფარული ზეწოლა ევროპიდანაც განხორციელდეს. არ არის გამორიცხული, ნაწილობრივ გადაისინჯოს ხელშეკრულებაც ევროკავშირთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ამ შემთხვევაში უმრავლესობის შექმნას წინ აღარაფერი დაუდგება, "ახალი დემოკრატიის" 129 და "პასოკის" 33 მანდატი ამას თავისუფლად ჰყოფნის.

საბერძნეთში ევროს მომხრეებმა გაიმარჯვეს

თინა შავაძე

ევროპის სავალუტო ბაზარზე ევროზე მოთხოვნა გაიზარდა. დღევანდელი ვაჭრობის შედეგებით, ევროს გაცვლითმა კურსმა 1,27 ამერიკული დოლარი შეადგინა. ბაზრის მოთამაშეები ევროს აქტიურად ყიდულობენ, ამის მიზეზად კი სახელდება საბერძნეთის არჩევნებში პარტია "ახალი დემოკრატიის" გამარჯვება, რომელიც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის შენარჩუნებას უჭერს მხარს. ამის შესახებ "ბი-ბი-სი" იუწყება.

ამ ინფორმაციის გავრცელებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ევროპის საფონდო ბირჟებზეც. წამყვანი ინდექსის FTSEurofirst-ის აქციების ფასმა გუშინ 1 პროცენტით მოიმატა.

ზრდა დაფიქსირდა აზიის ბაზრებზეც. წამყვანმა საფონდო ინდექსებმა მოიმატა იაპონიის, ჰონკონგის, სამხრეთ კორეისა და ავსტრალიის ბირჟებზეც.

თუმცა მალე ინვესტორებმა აჩვენეს, რომ ისინი კვლავ შეშფოთებულნი არიან ევროზონის კრიზისით. ყველაზე ცუდი სიგნალი გახდა ესპანეთის 10-წლიანი ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რომელმაც კრიტიკული დონეს, 7-პროცენტიან ზღვარს გადააჭარბა. მსგავსი დონე ძალიან გაართულებს მადრიდის მიერ გრძელვადიანი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებას. ბევრი ეკონომისტის აზრით, ესპანეთის პრობლემებმა ევროზონას სწორად მუშაობის შანსი აღარ დაუტოვა.

საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, რომელიც ხმების დათვლას აწარმოებს, ხმის მიცემის საბოლოო შედეგების თანახმად, "ახალმა დემოკრატიამ" ხმათა 29,65 პროცენტი მიიღო და პარლამენტში 129 ადგილი დაისაკუთრა. მემარცხენე რადიკალურმა ბლოკმა "სირიზამ" კი ხმათა 26,9 პროცენტით პარლამენტში 71 ადგილი მიიღო.

მემარცხენე-ცენტრისტულ პარტია "პასოკს" 12,28 პროცენტი და 33 ადგილი ერგო; "დამოუკიდებელ ბერძნებს" - 7,51 პროცენტი და 20 ადგილი. გამარჯვებული პარტიის "ახალი დემოკრატიის" ლიდერმა ანტონის სამარასმა უკვე განაცხადა, რომ მთავრობა, რომელიც მისი პოლიტიკური ძალის მონაწილეობით ჩამოყალიბდება, უცხოელ კრედიტორებთან გაფორმებული შეთანხმებების ერთგული იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ პარტიები მთავრობის შექმნაზე ვერ შეთანხმდებიან, შესაძლოა იგივე სიტუაცია გამეორდეს, რომელიც 6 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიქმნა, როდესაც მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ახალი არჩევნები დაინიშნა.

საბერძნეთის პოლიტიკური კრიზისის გამო ბევრმა საერთაშორისო ფონდმა თუ საფინანსო ინსტიტუტმა დაითვალა, რა დაუჯდებოდა ევროზონას საბერძნეთზე უარის თქმა და ამ ქვეყნის მიერ დეფოლტის გამოცხადება.

ევროზონიდან ერთი წევრის გასვლის პირდაპირი ზარალი ბანკ Barclays-ის ეკონომისტებმა შეაფასეს:

იმ 80 მილიარდი ევროდან, რომელიც პირველადი დახმარების სახით საბერძნეთს 2010 წლის მაისში გადაეცა, 53 მილიარდი დოლარი უკვე დაიხარჯა.

დახმარების მეორე პაკეტი, რომელიც ქვეყანამ ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდიდან უნდა მიიღოს, 145 მილიარდიდან 73 მილიარდი ევრო უკვე ათვისებულია. დეფოლტის შემთხვევაში, ევროპის ცენტრალური ბანკის ზარალი ქვეყნების წილობრივი ფინანსური შენატანის მიხედვით გადანაწილდება.

გარდა ამისა, აუცილებელია ECB საერთაშორისო საგადასახადო სისტემაში, საბერძნეთის პოზიციის გადასახადის გადახდა იმპორტის მიმართ. ამ შემთხვევაში, ECB-ი 135 მილიარდ ევროს დაკარგავს.

ECB-მა 35 მილიარდი ევროს საბერძნეთის ობლიგაციები შეიძინა, ისინი უნდა ჩამოიწეროს. საბერძნეთი ფულს არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაუბრუნებს.

ამდენად, ევროზონის ქვეყნების საერთო დანაკარგი სავალუტო კავშირიდან საბერძნეთის გასვლის შემდეგ, დაახლოებით, 291,1 მილიარდ ევროს შეადგენს და ეს მათი მშპ-ს 3.1 პროცენტია.

სოციალისტებმა საფრანგეთში უმრავლესობა მოიპოვეს

სალომე ჯანიაშვილი

დამარცხებული ლიდერები სეგოლენ რუაიალი და მარინ ლე-პენი

საფრანგეთში ჩატარებული არჩევნების შედეგად პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის სოციალისტურმა პარტიამ პარლამენტის ქვედა პალატაში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. საბოლოოდ მათ მიიღეს 289 მანდატზე გაცილებით მეტი, რაც აუცილებელია ნებისმიერი კანონის მისაღებად.

წინასწარი მონაცემებით, ოლანდის პარტიამ, უახლოეს მოკავშირეებთან ერთად, ეროვნულ ასამბლეაში 577 ადგილიდან 315 მიიღო. ეს არის საუკეთესო შედეგი, რომელსაც სოციალისტურმა პარტიამ საფრანგეთის უახლეს ისტორიაში მიაღწია. არჩევნების შედეგები ახალი რეფორმების გატარებას "მწვანე შუქს" უნთებს. ადგილების ამ რაოდენობით სოციალისტებს "მწვანეებთან" ან უკიდურეს მემარცხენეებთან არ სჭირდებათ კოალიციის შექმნა იმისთვის, რათა საკუთარი გეგმები განახორციელონ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა არჩევნები ლა-როშელში, სადაც დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად პრეზიდენტ ოლანდის ყოფილი მეუღლე და პრეზიდენტობის ექსკანდიდატი 2007 წელს სეგოლენ რუაიალი იბრძოდა, თუმცა ლა-როშელში გამარჯვება მისმა მოწინააღმდეგემ, "დისიდენტმა" სოციალისტმა ოლივიე ფალორნიმ მოიპოვა.

წაგებულთა სიაში აღმოჩნდა საფრანგეთის ულტრამემარჯვენე "ეროვნული ფრონტის" კანდიდატი მარინ ლე პენიც, რომელსაც გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა. ამასთან ერთად, ბედმა გაუღიმა მის 22 წლის ძმისშვილს მარიონ მარეშალ ლე პენს, რომელიც პარლამენტში ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი იქნება. წინასწარი ინფორმაციით, პარტიამ 2 საპარლამენტო მანდატი მოიპოვა. მიუხედავად ამისა, მარინ ლე პენმა შედეგს "უზარმაზარი წარმატება" უწოდა, რადგან მისი პარტია 1998 წლის შემდეგ პირველად მოხვდა პარლამენტში.

მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ხმების გადათვლას მოითხოვს, რადგან განსხვავება ძალიან პატარა იყო (118 ხმა).

საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის დასაყრდენმა პოლიტიკურმა ძალამ "კავშირი სახალხო მოძრაობისათვის" 214 ადგილი მოიპოვა. წინა მოწვევის ეროვნული კრებაში პარტიას 304 მანდატი ჰქონდა.

სოციალისტური პარტიის ლიდერმა მარტინ ობრიმ ამომრჩეველს მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და პირობა დადო, რომ მათი პარტია ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენს. თავის მხრივ, განცხადება პრემიერ-მინისტრმა ჟან-მარკ ეირომაც გააკეთა და განაცხადა, რომ ფრანგმა ამომრჩეველმა რეფორმების მიმართ თავისი ნება დააფიქსირა.

საინტერესოა, რომ რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის დელეგაციამ, რომელიც სტუმრის სტატუსით იყო საფრანგეთის არჩევნებზე, დააფიქსირა გაყალბების შესაძლებლობები, რამაც მასპინძელ ქვეყანაში დაბნეულობა გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს კრიტიკის ობიექტი თავად რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი იყო იმ დარღვევების გამო, რომლებსაც რუსეთში არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა. თუმცა მთლიანობაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ელენა დუბროვინამ ვერ შეძლო არ აღენიშნა, რომ არჩევნები საფრანგეთში მიმდინარეობდა ღიად, ხოლო გაყალბების შესაძლებლობა მინიმალური იყო.

მოსკოვში ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს

მოსკოვში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მორიგი მოლაპარაკებები დაიწყო. შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებებში ე.წ "ექვსეული" (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) და ირანის მხარე მონაწილეობენ. რუსი დიპლომატები იმედოვნებენ, რომ პროცესი საბოლოოდ დაიძვრება გაყინული წერტილიდან, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი უკვე იმაზე საუბრობს, მოლაპარაკებების ჩავარდნის შემთხვევაში გახდება თუ არა შესაძლებელი ომის თავიდან აცილება.

შეხვედრა პლენარული სხდომით დაიწყო, რომლის წინაშეც საგარეო საქმეებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი და ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივანი საიდ ჯალილი წარდგნენ.

"კომერსანტს" იმ კომპრომისული გეგმის დეტალები ჩაუვარდა ხელში, რომლებიც მხარეებმა უნდა განიხილონ. აქ რამდენიმე პუნქტია მოყვანილი. მათ შორის პირველია ის, რომ ირანი ნათანზის ქარხანაში ურანის გამდიდრებას 20 პროცენტიდან 3 ან 5 პროცენტამდე შეამცირებს. მეორე პუნქტი კი შემდეგში მდგომარეობს - "ფორდოში" მთლიანად უნდა შეჩერდეს გამამდირებელი სამუშაოები და თავად ობიექტი დაიხუროს. ამ ყველაფრის სანაცვლოდ ირანს საშუალება მიეცემა, სხვა ქვეყნებში უკვე მაღალ დონეზე გამდიდრებული ურანით თეირანის სამედიცინო-კვლევითი რეაქტორისათვის დაამზადოს საწვავის ღეროები, რასაც ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მკაცრად გააკონტროლებს. ამ გეგმის პირველივე პუნქტის შესრულებისათანავე ირანისათვის სანქციების მოხსნა დაიწყება.

მოსკოვის ამ შეხვედრას გადამწყვეტად მიიჩნევენ. "კომერსანტის" მონაცემებით, შეხვედრის ჩავარდნის შემთხვევაში ამერიკა ირანთან ახალ მოლაპარაკებებს აღარ დათანხმდება. მაშინ თეირანისათვის სანქციების გამკაცრება გარდაუვალი გახდება, პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა კი - სრულიად მოსალოდნელი. როგორც "კომერსანტი" აღნიშნავს, მოლაპარაკებების მარცხი ისრაელს საბოლოოდ დაარწმუნებს, რომ ირანზე დარტყმა ერთადერთი გზაა. თუმცა, ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ ისრაელს დამოუკიდებლად არ შეუძლია, ზიანი მიაყენოს ირანის ბირთვულ პროგრამას. ამისათვის ამერიკის დახმარებაა საჭირო. ბარაკ ობამა კი ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს და დაკვირვებას გამოიჩენს, ვინაიდან თითოეულ ნაბიჯს მის ხელახლა პრეზიდენტად არჩევაზე აქვს გავლენა. საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში 6 ნოემბერს გაიმართება. მისმა მეტოქემ მიტ რომნიმ კი უკვე გამოთქვა მზადყოფნა, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მხარი დაუჭიროს ირანზე დარტყმას. ცხადია, თუ ბირთვული იარაღის შექმნის საფრთხე რეალური გახდება.

ადენში იემენელი გენერალი მოკლეს

დღეს იემენის სამხრეთ სარდლობის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი სალემ ალი ქათნი სამხრეთის საპორტო ქალაქ ადენში მოკლეს. რამდენიმე დღის წინ იემენის მთავრობამ გამოაცხადა, რომ წარმატებით აიღეს "ალ კაიდას" მესამე დასაყრდენი პუნქტი, საპორტო ქალაქი შუკრა. დღეს დილით გენერალი სამსახურში მიდიოდა, როდესაც თვითმკვლელმა მისი ავტომანქანის წინ თავი აიფეთქა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი სომალელი იყო. ერთი წლის წინ "ალ კაიდამ" და მისმა მოკავშირემ "ანსარ ალ-შარიამ" ქვეყნის სამხრეთით მყარი დასაყრდენი შეიქმნეს. ცოტა ხნის წინ ქვეყნის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სამთავრობო ძალებმა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და მათ მიერ დაკავებული ქალაქები გაათავისუფლეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

მუჰამედ მურსი გამარჯვებულად გამოაცხადეს

პანარაბული მოძრაობა "მუსლიმანი ძმების" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მათი პოლიტიკური ფრთის "თავისუფლების და სამართლიანობის პარტიის" კანდიდატმა მოჰამედ მურსიმ გაიმარჯვა. გასულ უქმეებზე გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მურსის მეტოქე ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აჰმედ შაფიკი იყო. "ძმები მუსლიმების" ინფორმაციით, მურსიმ ხმების 52 პროცენტი მიიღო, მისმა მეტოქემ - 48 პროცენტი. შაფიკის შტაბ-ბინის თანამშრომელმა კი განაცხადა, რომ ისინი ამ შედეგებს საბოლოოდ არ მიიჩნევენ და არც დამარცხებას აღიარებენ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ოფიციალური შედეგები 21 ივნისამდე უნდა გახდეს ცნობილი.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ არჩევნებამდე ორი დღით ადრე ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ საპარლამენტო არჩევნები არაკონსტიტუციურად სცნო, ხოლო შაბათს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სამხედრო საბჭომ პარლამენტის ქვედა პალატა დაითხოვა. კვირას, გვიან საღამოს სამხედრო საბჭომ ახალი პარლამენტის არჩევამდე თავის თავზე აიღო საკანონმდებლო ფუნქციები. რეფერენდუმის გზით ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ახალი არჩევნები არ გაიმართება. ახალი ძირითადი კანონი სამ თვეში უნდა იყოს მზად და საკონსტიტუციო კომისიის ფორმირებაც სამხედროებმა ითავეს. სამხედრო საბჭო ვეტოს უფლებას იტოვებს ახალი კონსტიტუციის იმ დებულებებზე, რომლებიც "ქვეყნის უმაღლეს ინტერესებს ეწინააღმდეგება." ამჟამად მოქმედ დროებით კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებამოვალეობები გაწერილი არ არის, რადგან კონსტიტუციის მიღება საპრეზიდენტო არჩევნებამდე იგეგმებოდა.

ლიფტი მხოლოდ წვრილმანია

პირველი გვერდიდან

ანუ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან ამოშლის საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლებს შორის ჩაწერეს. ამ აქტთან ერთად, საქართველოსგან მოითხოვეს სარესტავრაციო სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება. რა მოხდა წელიწად-ნახევარში, უცნობია. ფაქტია, რომ სამუშაოები გაგრძელდა. მორიგი მონიტორინგის შემდეგ მივიღეთ უკვე ზემოხსენებული განცხადება. აღნიშნული განცხადება მოიაზრება, როგორც ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის საერთოდ ჩამორთმევის წინაპირობა. ბუნებრივია, როდესაც ინსტიტუციის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ ძეგლს ავთენტურობა აღარ აქვს, ის მის "შებრალებას" ნამდვილად აღარ ეცდება.

ეს რამდენიმე დღეა, განცხადებებს განცხადებები მოსდევს. ერთი მხრივ, მედია შფოთავს, სკეპტიკურად განწყობილი ხელოვნების თეორეტიკოსების აზრიც აქტუალური გახდა. კულტურის პოლიტიკის მმართველი უწყებები იუნესკოსადმი ირონიულ-კრიტიკული განცხადებებით გვამახსოვრებენ თავს. ამას მოჰყვა საპატრიარქოს საკმაოდ დამაბნეველი განცხადებებიც, სადაც თავში წერია, რომ სარესტავრაციო პროექტი საპატრიარქოსთან შეუთანხმებელი იყო, ბოლოსკენ კი იქვე ტექსტში ირკვევა, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო, ლიფტისა და დასავლეთ მკლავში მიმდინარე სამუშაოების გარდა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ბოლო განცხადება სამომავლოდ დაგეგმილი მოლაპარაკებების შესახებ მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც ბაგრატის შენება ახალ ამბად წარმოუდგენია და ცოტა ინფანტილურია მისთვის, ვინც წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს პროცესს. წლების განმავლობაში. თუკი ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის მასშტაბს გავიაზრებთ, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ეფუძნება არსებული სხეულის სკანირებით გაკეთებულ დასკვნებს და არცთუ სრულყოფილ თეორიულ ცოდნას თავდაპირველი ტაძრის შესახებ, მივხვდებით, რომ საპატრიარქოსთან შეუთანხმებელი ვერ იქნებოდა ის, რაც წლების განმავლობაში ხორციელდება და ის, რასაც მეცნიერები და იუნესკო აპროტესტებენ. აპროტესტებენ კი შემდეგს: 1. ავთენტურობა ვერ ნარჩუნდება ძველი სხეულის მხოლოდ როგორც ფუტლიარის გამოყენებით. თუკი დაშლი, ააშენებ ახალ სხეულს და შემდეგ ძველით შენიღბავ, მიიღებ ახალს, რომელიც მოკაზმულია ძველი პერანგით; 2. რესტავრაცია მასშტაბურად შეეხო სხეულს, რომლითაც 1994 წელს მიიღო იუნესკომ; 3. მიმდინარეობს ისეთი პროცესები, რომლებიც ემსახურება ნანგრევების ადგილას სრულფასოვანი კელდების აღმართვას, გადახურვას, ახალ გუმბათს - მეცნიერები ფიქრობენ, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ტაძარი ზუსტად ისეთივე იქნება, თუმცა ისეთივე რომც იყოს, ის ვერ იქნება ბაგრატის მიერ აგებული საკათედრო ტაძარი. იქნება ახალი ტაძარი.

აი, აქ კი უკვე იდეოლოგიურ-მენტალური კონფლიქტია და არა მეთოდოლოგიური. ერთი მხრივ, საკითხი ეხება კითხვას: ახლად აშენებული ტაძარი უფრო მეტია, ვიდრე ძველის ნანგრევები? მეორე მხრივ, ეს არის რწმენისა და კულტურის კრიზისი და მათი პრიმიტიული გაგება. ამას გარდა, ჩნდება აზრი, რომ ეს არის ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთპრეტენზიებისა და ძალაუფლების გადანაწილების საკითხი; და ბოლოს, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს ყველაფერი ისტორიაში კვალის დატოვების უმარტივესი ლოგიკის მქონე ქმედებაა.

2004 წლიდან დაიწყო საუბარი ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებით. იუნესკომ 2006 წელსვე მოითხოვა პროექტი. საქართველომ მასალების გადაგზავნა 2011 წლამდე გადადო. ამიტომაც ალოგიკურია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დადანაშაულება ინერტულობასა და ჩაურევლობაში. 2011 წელს რაც მოხდა, ამაზე სულ თავში გიამბეთ. რა ხდება დღეს, უჩემოდაც გასაგებია. ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ ცხადი გახდეს პროცესი, სადაც ყველაფერი ყველასათვის ცნობილი გახლდათ და თუკი უცნობი იყო, თავისუფლად შეეძლოთ, აქამდე მოეკითხათ ბაგრატის ბედი. თუკი ამას ახერხებდა "24 საათი", რა სირთულე იქნებოდა სხვისთვის? არანაირი. უბრალოდ, დღეს საუბარი იმაზე, რომ ვიღაცამ, მით უფრო, ხელისუფლებამ ან მისმა რომელიმე ინსტანციამ შეცდომაში შეიყვანა სხვა, ანდა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სააგენტოს მტრად შერაცხვა უბრალოდ მანევრია. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი თავისი უწყებით მხოლოდ მედიატორია. მომლაპარაკებელი სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის. პრობლემა მოლაპარაკებების არსშია და არა სხვაგან. მით უფრო, ლიფტში, რომელიც ყველაზე ზედაპირული პრობლემაა პრობლემების უზარმაზარ ჯაჭვში.

ბაგრატის აღდგენა სხვადასხვა მიზეზების გამო საინტერესო და ეფექტური მოვლენა იქნება როგორც ხელისუფლებისთვის, ისე მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. რატომ? იცით, მაგრამ სხვისგან გაგონილი გირჩევნიათ, ამიტომაც შევეცდები...

როცა შენდება ახალი არქიტექტურული ძეგლი, რიგით ადამიანს უჩნდება სრულიად ადეკვატური განცდა იმისა, რომ მისი თანამედროვე საზოგადოება მასთან ერთად რაღაც ახალს ტოვებს ამ ქვეყანაში. ამას ლიტერატურულ-მეტაფორულად ისტორიის წერას ვუწოდებთ ხოლმე. დიახ, ასეა. მონუმენტურ ხელოვნებას პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტი ახლავს და ეს კონტექსტი თანამედროვე საქართველოში აჩქარებული შენების გამო ისე მძაფრად იგრძნობა, როგორც არასდროს. მაგრამ მაშინ, როდესაც ვეხებით წარსულიდან შემორჩენილ ძეგლებს და ეს შეხება ხდება არა მხოლოდ დაცვის მიზნით (წარსულის მოვლისა და პატივის მიგების მიზნით), არამედ მისი აღდგენისა და რეკონსტრუქციის მიზნით, მაშინ ნუ გვეწყინება, თუკი ვიტყვით, რომ ამ პროცესს ისტორიის გადაწერის პროცესი ჰქვია და ჩვენი "მე"-ს იქ დაფიქსირების, სადაც ჩვენი ადგილი არ იყო, მაგრამ დროში მოგზაურობისა თუ სხვა ინტერესების გამო რაღაცნაირად ვახერხებთ ხოლმე, რომ შევაღწიოთ. ანდა ვახერხებთ შევქმნათ ილუზია, რომ შევაღწიეთ და გავუთანაბრდით, რაც აპრიორი შეცდომაა - წარსულს გინდ გაუთანაბრდი, გინდ არა. რისთვის, თორემ კი...

ბაგრატის ტაძარს არ გაუმართლა. ჩვენ, რომლებსაც ასე გვიყვარს სიმბოლოები და ხატებები, რომელთაც ჩვენს ლოგიკურსა და ალოგიკურ საქციელებს ვაბრალებთ, კარგად გვახსოვს, რომ ეს ტაძარი გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ დანგრეული ბაგრატი სწორედ ამიტომ გახდა ხელისუფლებისთვის მძიმედ ასატანი. "ვერ ვაერთიანებთ ამ ეტაპზე ქვეყანას, გავაერთიანებთ ბაგრატს!" თუმცა ასე მარტივად რომ იყოს საქმე, კარგი იქნებოდა ბაგრატის ტაძრის ნაშთებისათვის, მას გავლენიანი ქომაგი ეყოლებოდა - საპატრიარქოს სახით.

2009 წლის ინაუგურაციაზე საქართველოს პრეზიდენტმა არა მხოლოდ ტაძრის აღდგენის ფიცი დადო, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელებს მისცა პირობა, რომ მისი პრეზიდენტობის ხელმეორე ვადაში ბაგრატი აღდგებოდა. მიცემული პირობა ამ საქმეში ცალმხრივ ინტერესს თავისთავად გამორიცხავს და მას შემდეგ ეჭვის შეტანა იმაში, რომ ეს პროექტი ერისა და ბერის ხელმძღვანელებისთვის ერთნაირად საინტერესოა, უბრალოდ გულუბრყვილობაა ანდა შეგნებული სიბრმავე. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ამ ძეგლთან, და არა მხოლოდ მასთან, მიმართებაში ხშირად გამოუხატავს პოზიცია, რომელშიც ყოველთვის ჩანდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე უპირატესი არის ამ თუ სხვა ძეგლის, როგორც ფუნქციონირებადი ტაძრის, აღდგენა. სხვაგვარად მის მფლობელობაში არსებული უნიკალური არქიტექტურული ძეგლები მნიშვნელობას კარგავენ. პრობლემა უმთავრესად აქ ღვივის. ბაგრატი ისეთი, როგორიც იუნესკომ 1994 წელს შეიყვანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, რომ ყოფილიყო მისაღები არა მხოლოდ როგორც კულტურული მემკვიდრეობის სრულიად გამორჩეული ნიმუში, არამედ როგორც სიწმინდეც, მაშინ ვერც ერთი პრეზიდენტი და ვერც ერთი სააგენტო ვერ შეეხებოდა მის ავთენტურობას. ავთენტურობას უპირისპირდება თანამედროვე მრევლის ხედვა "უფლის სადიდებლად სრულქმნილი ტაძარი!" და აქვე მაგონდება ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ჩემთვის გაკეთებული კომენტარი, ჩემსავე კვნესაზე "ვაი-თუ, ამოგვშალონ," - "თუ ამოგვშლიან, ჩვენ მზად ვართ, გარკვეული მსხვერპლი გავიღოთ." აი, აქ თავს დავანებებ პროფესიულ პოზიციას და ქართველ ქრისტიან-მართლმადიდებელისთვის ადრე თუ გვიან აუცილებლად წარმოსათქმელ რიტორიკულ კითხვებს დავსვამ: რა მნიშვნელობა აქვს, სად მოხდება მორწმუნის მიერ უფლის დიდება? ითხოვს კი ჩვენი რწმენა მსხვერპლშეწირვებს? გვაქვს კი საამისო მაგალითები? განა უფლის დიდება პომპეზური და ამბიციური პროექტებით გამოიხატება? სად არის ამ პროცესებში ქრისტიანული თავმდაბლობა და სისადავე, შეიძლება უფლის დიდება მათ გარეშე? აშკარად სხვაგან წავედი... მაგრამ ამ კითხვებზე ჩემთვის არცთუ სასიამოვნო პასუხი ერთ-ერთ შაბათს სვეტიცხოველში მივიღე. ფართო საზოგადოებისთვის ბაგრატი მნიშვნელობით გაუტოლდება სვეტიცხოველს. ეს ფართო საზოგადოება ამ ტაძარს არ აღიქვამს მხოლოდ როგორც სიწმინდესა და მნიშვნელოვან ძეგლს. ეს რაღაც მეტია. მთავარი დიდი რიტუალების ადგილი. რიტუალი კი ერთიორად მნიშვნელოვანი ხდება იქ, "განსაკუთრებულ ტაძარში". იქ ნებისმიერ 10 წუთში (განსაკუთრებით, მარხვის წინა პერიოდში) ტაძარში პარალელურად რამდენიმე ნათლობა და რამდენიმე ჯვრისწერა მიმდინარეობს. ხმაურში, სირბილში, კამათში, და მაინც. ამ 10 წუთში იქ მოძრავი მოზეიმე საზოგადოება ტაძარში საშუალოდ 2000 ლარზე მეტს ტოვებს. დაუბეგრავს, დამატებით შემოსავლად. ტოვებს და ხმაურითვე გადის... ეს არ ხდება და ვერ ხდება ბაგრატის ძეგლის ნანგრევებთან. ნანგრევები აინტერესებთ მლოცველებს, ღარიბ ახალგაზრდა ტურისტებს და მეცნიერებს. ისინი კი, გვინდა თუ არა ეს ჩვენ, ძალიან ცოტანი არიან და თანაც ძალიან ცოტას იხდიან.

მაშინ ბაგრატის სხეულის ნაშთებს უკვე ჰქონდა რესტავრატორების ხელი შევლებული. თუმცა ჩარევა იყო მინიმალური, ადგილზე არსებული მასალის შენარჩუნებით. ნაგებობის კამარების შეკვრისა და გადახურვის სურვილი, სავარაუდოდ, მაშინაც იარსებებდა, თუმცა იმპროვიზაციებისთვის შესაბამისი გამბედაობა არ გამოუვლენიათ. მაშინაც კი, როდესაც ამდენად აქტუალური არ იყო მსოფლიოში კონსერვაციის მეთოდი და რესტავრაციას ხშირად მიმართავდნენ, რადიკალური რესტავრაციის იდეა არ ჩამოყალიბებულა.

ის, რომ თანამედროვე ქართული საეკლესიო არქიტექტურა ისეთ ცნებებზეა დაშენებული, როგორიც არის სიმრავლე, სიდიდე, ეფექტურობა, ამაზე მიუთითებს ბოლო ორი ათწლეულის საეკლესიო მშენებლობები. ერთი მხრივ, ყველა ეზოსა და კორპუსთან ამოზრდილი მცირე ეკლესია, მეორე მხრივ, დიდი სამების საკათედრო ტაძარი. რომლის შესახებაც მისი გახსნის დღეს ზუსტად ამ გაზეთში ვწერდი. ორიენტირება მასშტაბზე, ამ დროს გარემოს მასშტაბის თავისებურებების უგულებელყოფა, ისეთი ინტერიერის შექმნა, სადაც ფუფუნება და მრავალფეროვნება მოგვჭრის თვალს და, ამავდროულად, ძველი ქართული შუასაუკუნოვანი ხუროთმოძღვრების დეტალების ეკლექტურ-უსიცოცხლო გადმოწერა ახალ ნაგებობაზე არა მხოლოდ წინააღმდეგობაში მოდიოდა და მოდის საზოგადოების ეკონომიკურ-მენტალურ მდგომარეობასთან, არამედ ქართული კულტურის და სახვითი ხელოვნების იმ ტრადიციასთან, რომლის გარეშეც ბაგრატის ეპოქაში ვერ დაგვედგომება და, წესით, არც მის კვალს უნდა შევხებოდით ასერიგად დიდი ამბიციებით. ალბათ ისიც უნდა მოვიგონო, რომ აღნიშნული ტაძარის მთავარი ქტიტორი ბიძინა ივანიშვილია. განაპირობებს თუ არა ეს სხვა გრანდიოზული შენების მის გარეშე წამოწყების აუცილებლობას არ ვიცი. მე უბრალოდ ფაქტი გავიხსენე. ფაქტი რომელიც მხოლოდ იმაში მარწმუნებს, რომ ამ ქვეყანაში განსხვავებული მხარეების მსგავსებებზე ლაპარაკი უფრო ლოგიკურია, ვიდრე განსხვავებებზე. მაგრამ ეს სულ სხვა სტატიის თემაა.

რაც შეეხება ხელისუფლების იმ ნებასა და ვნებას ბაგრატთან მიმართებაში, რომელზეც ამ დღეებში ბევრი ითქვა. ეს ის ვნებაა, რომლითაც ცოცხლობს პროცესი სხვა ნებისმიერ სივრცეში - შენების, შეკეთების, დასრულებისა და გამოგონების. ვნება, რომელიც ვერ უძლებს თავისუფალ სივრცეს. კვალის დატოვების ვნება. უბრალოდ, ვნება მატულობს ბაგრატის ტაძრის მნიშვნელობისა და თუნდაც თავდაპირველი პოლიტიკურ-ისტორიული როლის გამო. მაგრამ რაკი ეს არის ხელისუფლება, რომელიც ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მქონე საქართველოს აღიარებს, რთულია, მიმდინარე პროცესები ჩემ მიერ მრავალგზის ნახსენებ ვნებას მივაწერო მხოლოდ.

პრემია "საბას" ფინალისტები

პირველი გვერდიდან



4. ჯაბა ზარქუა, **ვარმშტადური პარადოქსი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
5. უჩა ზაქაშვილი, **ხელით ნაქსოვი თოჯინები** (საუნჯე)
6. სანდრო ნავერიანი, **არგენტინული პიტბული** (სიესტა)
7. გიორგი ოქროპირიძე, **ლექსები** (გამოიცა ავტორის ხარჯით)
8. სალომე სულაბერიძე, **ჰამალ** (არეტე)
9. ეკატერინე ტოგონიძე, **ანესთეზია** (საუნჯე)

წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, **რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", წიგნი II** (დიოგენე)
2. ლევან ბერძენიშვილი, **არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV** (ლოგოს პრესი)
3. ნათელა გავაშელი, **ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"** (ინტელექტი)
4. ქეთი ქანთარია, **ჰენრი დევიდ თოროს უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"** (სიესტა)
5. ბელა შალვაშვილი, **ფირდოუსის "შაჰნამე"** (ნეკერი)
6. გივი შახნაზარი, **ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"** (ექსკლუზივ პრინტი)
7. ხათუნა ცხადაძე, **უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი"** (დიოგენე)
8. დავით წერედიანი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

წლის საუკეთესო პიესა

1. გურამ ბათიაშვილი, **მოქმედი პირნი და შემსრულებელნი** (ლიტ. პალიტრა)
2. ლაშა ბუღაძე, **ნავიგატორი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. გურამ მეგრელიშვილი, **ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი** (დიოგენე)

წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. რევაზ გაჩეჩილაძე, **ჩემი მეოცე საუკუნე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. ნოდარ გრიგალაშვილი, **თანმდევი სული** (ახალი საქართველო)
4. გიორგი მაისურაძე, **ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. დათო ქარდავა, **ტუალეტში საკითხავი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

წლის საუკეთესოLლიტერატურული კრიტიკა

1. ივანე ამირხანაშვილი, **თავისუფლების პარადოქსები** (ინტელექტი)
2. ლევან ბრეგაძე, **ლიტერატურული (გამო)ძიებანი** (არტანუჯი)
3. მაკო ჯანჯიბუხაშვილი, **მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში** (წყაროსთვალი)

ქალური ლოგიკა - ფეხბურთელები სპერმატოზოიდები არიან, ბურთი - კვერცხუჯრედი

FEMEN

მოძრაობა FEMEN-ის აქტივისტი ალექსანდრა შევჩენკო ერთ-ერთი რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთელებს სპერმატოზიოდებად მოიხსენიებს, ბურთს კი - კვერცხუჯრედად. მისი აზრით, ფეხბურთი სულელური თამაშია, ევრო 2012 და სექს ინდუსტრია კი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. შევჩენკომ იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ მოიტაცეს ორგანიზაციის წარმომადგენლები ბელარუსში (FEMEN-ის ოფისი კიევის ცენტრში მდებარეობს).

- პირადად თქვენ თუ ხართ სპორტით დაკავებული?

- არასერიოზულად. თანაც, არც ისე დიდი წარმატებები მაქვს, თუმცა, ვცდილობ.

- მილიციას ჯერ არ შეუწუხებიხართ?

- არა. ჯერ არ იციან ჩვენი ახალი ოფისის შესახებ. სულ ერთი თვეა, რაც აქ გადმოვედით.

- შესაძლებელია თუ არა FEMEN-ის ოფისის გახსნა რუსეთში?

- არა მგონია. რუსეთში ახლა ირანზე უარესი მდგომარეობაა.

- თქვენი ორგანიზაციის მიზანი...

- ფემინისტური რევოლუცია.

- როგორ აპირებთ ამ რევოლუციის მოწყობას?

- ღმერთმა უწყის.

- მაინც?

- შეიძლება სისხლით, შესაძლოა, მშვიდობიანი გზით. ყველაზე კარგი ვარიანტი კი შიშველი დაპირისპირებაა მამაკაცებსა და ქალებს შორის.

- რატომ აირჩიეთ პროტესტის ასეთი ფორმა?

- თავიდან გახდას არც ვაპირებდით. მერე კი, როცა ვნახეთ, თუ რა ხდებოდა 2012 წლის არჩევნებში, აქტიურ ქმედებაზე გადავედით. გადავწყვიტეთ, რომ გახდა აუცილებელია. საერთოდ, შიშველი ქალი თავისუფალ ქალს ნიშნავს. უკრანაში ჩვენ შეგვიძლია შიშველი პროტესტის გამოხატვა. რუსეთში კი ამის გამო 12-დღიანი პატიმრობა გველის. ახლა რამდენიმე ათასდოლარიანი ჯარიმაც დაამატეს. იდიოტური კანონია.

- გაირკვა, რომ უცხოელი მიმდევრებიც გყავთ.

- ერთი გოგონა საფრანგეთიდან ჩამოვიდა, ერთიც - კანადიდან. სულ მალე ბრაზილიელიც დაგვემატება.

- ევროპის ჩემპიონატმა რა დაგიშავათ?

- მსხვილ სპორტულ ღონისძიებებს ლუდის კომპანიები აფინანსებენ. ამ კომპანიების მიზანი ხალხის გალოთებაა. ამას ემატება სექს ინდუსტრიაც. 2006 წლის მუნდიალის დაწყების წინ გერმანიაში პროსტიტუციის ლეგალიზება მოხდა. ყველამ კარგად იცის, რომ უკრაინაში ევრო 2012-ის პერიოდში სექს ტურიზმი გაძლიერდება. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. კიევში, სტადიონის გვერდით, მამაკაცებისთვის განკუთვნილი ათეულობით კლუბი გაიხსნა. ეს კლუბები ბორდელების ფუნციას ასრულებენ. მათ მილიცია მფარველობს.

- მეორე მხრივ, ევრო 2012 უკრაინას დიდ შემოსავალს მოუტანს.

- რა შემოსავალზეა საუბარი? ჯერ კიდევ მარტში იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ ევრო 2012 თავის თავსაც ვერ ამოიღებს.

- მართლა გგონიათ, რომ ასეთი აქციების გამო რომელიმე კლუბი დაიხურება?

- რა თქმა უნდა. იმის გამო, რომ ჩვენ თასი პოსტამენტიდან ჩამოვაგდეთ, ბორდელები არ დახურულა. თუმცა, გარკვეულ შედეგს მაინც მივაღწიეთ. მაგალითად, ფეისბუკში ბევრი მწერს, რომ, უბრალოდ, ფეხბურთის საყურებლად არის ჩამოსული და სულ არ უნდა უკრაინელ ქალებთან სექსი. იცით, ჩვენი უკვე უეფასაც ეშინია. ამას წინათ პოლონეთში ჩავედით და იქ ჩვენი ფოტოები ყველა პოლიციელს ჰქონდა. გვეძებდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. წარმოიდგინეთ ხუთი გოგო და მათ წინააღმდეგ "მენტების" პოლკი. "მენტებს" ჩვენი ძუძუების ეშინიათ.

- რატომ?

- აზროვნება აქვთ პატრიარქალური. სურთ, ქალების სექსუალობა გააკონტროლონ. მიაჩნიათ, რომ ქალის ადგილი სამზარეულოში და საწოლშია. ჩვენთან სამართლდამცავ ორგანოებში მამაკაცთა რაოდენობა ქალთა რაოდენობაზე 99-ჯერ მეტია. ევროპაში სექსუალური რევოლუცია 40 წლის წინ მოხდა, რუსეთში უკრაინასა და ბელარუსში კი ჯერ არ მომხდარა.

- თუმცა, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ სამართალდამცავ ორგანოებში ქალები და მამაკაცები თანაბარი რაოდენობით იმუშავებენ.

- ჩემთვის ამის წარმოდგენა ძნელი არ არის. მაგალითისთვის ისრაელიც კმარა, სადაც ქალები ჯარში მსახურობენ.

- ფეხბურთი რატომ არ მოგწონთ?

- სულელური თამაშია. სპერმატოზოიდები კვერცხუჯრედს დასდევენ, რათა გაანაყოფიერონ.

- თქვენ უკვე მთელი აღმოსავლეთ ევროპა გიცნობთ. როგორ ახერხებთ აქციების გამართვას?

- მართალი ბრძანდებით. უკვე გაჭირდა. აქციებისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ვცდილობთ შევინიღბოთ. პოლონეთში თეთრ-წითელი ქუდები გვეხურა. თანაც, ნაცნობ ჟურნალისტებთან და ფოტოკორესპონდენტებთნ ერთად დავდივართ, ვითომ ისინი ჩვენი მეგობარი მამაკაცები არიან.

- თქვენი აქციები ყოველწლიურად მატულობს. სულ მალე კიევში ალბათ სიმპათიურ გოგონებს საბუთებს შეუმოწმებენ.

- ასეთი რამ ვატიკანში მოხდა. ჩვენ გვეგონა, რომ იტალიაში არავინ გვიცნობდა. ვაპირებდით მონაზვნის გამჭვირვალე ტანსაცმლის ჩაცმას, თუმცა, ბოლო მომენტში მაინც ჯინსები ვამჯობინეთ. პოლიცია ჩვენი აქციისთვის მზად იყო. ჩვენ სამნი ვიყავით. ჩემი თანამზრახველები დააკავეს, მე კი გავიპარე.

- რა მოხდა ბელარუსში 2011 წელს?

- სუკ-ის წინ ჩვენი გოგონები აქციას მართავდნენ. შენობიდან რამდენიმე მამაკაცი გამოვარდა და ჟურნალისტებს ფოტო და ვიდეომასალა წაართვა. ჩვენდა გასაკვირად, გოგონებს ხელი არავინ ახლო. საღამოს, როცა გოგონები შინ ბრუნდებოდნენ, სადგურში მათ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ათი მამაკაცი დაესხა თავს. გოგონები ავტობუსში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მთელი ღამე დაკითხვას უწყობდნენ. შემდეგ თვალები აუხვიეს და უთხრეს, რომ მოკლავდნენ. გოგონები ტყეში წაიყვანეს და საშინლად მოექცნენ, უბრძანეს, ტანზე გაეხადათ, შემდეგ კი საჯდომზე ჯოხებით სცემეს. ბოლოს უკრაინის საზღვართან დატოვეს. ფული და საბუთები წაართვეს, მხოლოდ ტანსაცმელი დაუტოვეს.

- უკრიანის ხელისუფლებას რა რეაქცია ჰქონდა?

- არავითარი.

- მილიციელები თქვენ "შებმას" არ ცდილობენ?

- როგორ არა. ამას შეჩვეულები ვართ.

- FEMEN პოპულარობის პიკშია. გოგონები თქვენთან უბრალოდ მოდის გამო ხომ არ მოდიან?

- არა. ყველამ იცის, რომ ჩვენი აქციები გარკვეულწილად დივერსიებია.

- აქციებს პოლონეთში, საფრანგეთში, იტალიაშიც კი მართავთ. სად შოულობთ საამისო ფულს?

- ჩვენს ატრიბუტიკას ვყიდით. ეს შემოსავლის კარგი წყაროა.

- ნუთუ ამით ბევრის შოვნა შეიძლება?

- ჩვენ გვყოფნის. ქველმოქმედებიც გვეხმარებიან.

- გამოდის, რომ ერთი მფარველი და სერიოზული სპონსორი არ გყავთ.

- არა. ჩვენთან უკრაინაში არსებული ყველა პარტიის წარმომადგენელი მოსულა. მფარველობასაც გვპირდებიან, მაგრამ ჩვენ არ ვიყიდებით.

- როგორც ჩანს, არც ერთი უკრაინული პარტია არ მოგწონთ.

- არც ერთი. ერთ დროს ჩვენც ვფიქრობდით პარტიად ჩამოყალიბებას. ახლა ასეთი მიზანი აღარ გვაქვს.

- თქვენი აქტივისტი გოგონების მეგობარი მამაკაცები როგორ უყურებენ მათ საქმიანობას?

- თუ ჩვენს აქტივისტს მეგობარი მამაკაცი ჰყავს, ის FEMEN-ს დადებითად უყურებს.

- ალბათ ისეთებიც იყვნენ, ვინც თქვენს იდეებს არ იზიარებდა.

- იყვნენ. ყოფილა შემთხვევა, რომ გოგონა ბიჭის გამო ჩვენგან წასულა. ყოფილა პირიქითაც.

ლებრონი გაიზარდა

ალექსანდრე ასათიანი

"მაიამმი" მაიამიში 91:85 დასვა. ლებრონ ჯეიმსი, პირველად ლებრონ ჯეიმსის კარიერაში, ფინალში სანდო და მშვიდი იყო. ჩასაგდები ჩააგდო და რვიდან 6 საჯარიმო ათიანში გაუშვა. ლებრონი ბოლო წუთებში თითქმის ყველაფერს ასწრებდა. პატ რაილის ჯოკერმა დაცვაში რაღაცები ვერ გაშიფრა და "მაიამმი" ლებრონით დაჭრა, სისხლისგან დაცალა კევინ დიურანის ახლობლები. სერიის მესამე გარჩევა საინტერესო იყო.

სერია ბევრს იტევს. ლებრონი და კევინი პრივატულ გარჩევაში ბევრ პრობლემას აგვარებენ. პრობლემა იქვე, ამ ორის უბანში უნდა მოგვარდეს, სხვისი გასარჩევი არ უნდა გახდეს. დუეინ უეიდი დროდადრო ძველი უეიდია და შედის დერეფნებში, სადაც სხვები კოჭებს იმტვრევენ, ილეწებიან. რასელ უესთბრუქი მატრიცაა. რასი არარეალურად ტეხავს შეინ ბეტიეს და არარეალურად იდიოტურ პასს აყოლებს დიურანს. ან საერთოდ ვერ ხედავს გახსნილ კევინს და აჭრილია.

"მაიამმი" ორჯერ კარგი გაქცევა გააკეთა. დიურანი პერიმეტრიდან ცენტრამდე ამოაგდეს, კევინი იზოლირებულია, სასროლზე ვერ გადის. კენდრიკ პერკინსმა პირველ სამ წუთში 5 მოხსნა დაირტყა და "ოკლაჰომა" მეორე ფაზაში მაინც ვერ იღებს ასაღებს. უესთბრუქმა ბევრი პოზიციური შეცდომა დაუშვა. "მაიამმი" შეინ ბეტიეს სამიანებით (2/2) დაისვენა და პროცესში, კრის ბოშმა (10+11 მოხსნა) და დუეინ უეიდმაც (25+7 მოხსნა+7 პასი) ისეირნეს "ოკლაჰომას" სამწამიანში.

ლებრონმა ჩააგდო ჰაკიმ ოლაჯუონის მოძრაობით, ლებრონმა ვერ გადაატენა სერჟ იბაკას და სერჟს იქვე გემოვნებით შეუსრულა. ლებრონმა რაღაც მომენტში გააკეტა გასაკეთებელი და ბიჭმა დააგდო ტემპი, ბოლომდე გავიდა. იმ დროს ლებრონის ცოტას იგებდა და ლიდერმა ლიდერივით გააკეთა საქმე. ლებრონი რამდენიმე სროლით გაიზარდა.

სულ ბოლოს, ჯეიმსმა დაცვაში აიღო ასაღები. "მაიამის" მიკელე კორლეონემ თამაშიდან 23 სროლა გაუშვა. 11 ჩასვა. ლებრონი სტივ ნეში, ლარი ბერდი, ჯონ სტოქტონი იყო. ჯეიმსმა ჯეიმსის კარიერაში პირველი მნიშვნელოვანი, რთული თამაში გამოაძრო. Fuck critics, I'm the MAN!

ადრე, სუპერსერიების დროს, ჯეიმსი ბოლო წუთებზე პასიური მანდილოსანი იყო და ამის კომპენსირებას სერიოზული დაცვით ახერხებდა. ჯეიმსმა "ოკლაჰომასთან" დაცვაშიც მოაგვარა ყველაფერი და როცა უნდა ჩაეგდო, ჩააგდო. ლებრონი დიდი ბიჭია.

იქვე დიურანი იდგა. კევინმა პირველ გარჩევაში, ბოლო მეოთხედი 17 ქულით დახურა. "მაიამი" თითქმის დადგა და ჯეიმსმა სერია გააცოცხლა.

შარშან, ფინალში "დალასთან", ლებრონმა და ბიჭებმა მეორე თამაშში 15-ქულიანი ფორა გაუშვეს. "დალასმა" სერია შემოატრიალა.

ლებრონ ჯეიმსი ძალიან კარგი იყო

ეს სერია "მაიამმ" შემოატრიალა. ბოლო მეოთხედის დასაწყისში ფლორიდელი კარგი ბიჭები ცოტას იგებდნენ და ჯეიმსმა თავისი დერეფნები მონახა. "მაიამმ" მოინდომა. თამაშის დატოვება მოინდომა და დიურანმა ბოლო სროლები ვერ ჩააგდო.

წინა თამაშის მოგების შემდეგ, მესამედ ამ ფლეი-ოფში "მაიამმ" გაათანაბრა სერია. "ინდიანასთან" 1:2, "ბოსტონთან" 2:3 და ეს 48 წუთი "ოკლაჰომასთან". ჯეიმსი სამივე თამაშში არარეალურად კარგი იყო. ინდიანაპოლისში ლებრონმა 40 ქულა დააგროვა. ბოსტონში ლებრონი 45 ქულას და 12 მოხსნას კრავს. ოკლაჰომაში ლებრონმა 32 ქულა დაადესერტა. ბოლო მოთამაშე, რომელმაც სერიაში უარყოფითი ბალანსის დროს, შემდეგ თამაშში (სამჯერ) 30 და მეტი ქულა აკრიფა, იყო დუეინ უეიდი. ექვსი წლის წინ. მაშინ "მაიამი" ჩემპიონი გახდა.

ლებრონი, პირველად ლებრონ ჯეიმსის კარიერაში, ფინალში სანდო და მშვიდი იყო. ჩასაგდები ჩააგდო და პატ რაილი დაამშვიდა. ლებრონი ბოლო წუთებში თითქმის ყველაფერს ასწრებდა. პატ რაილის ჯოკერმა დაცვაში რაღაცები ვერ გაშიფრა და "მაიამმ" ლებრონით დაჭრა, სისხლისგან დაცალა კევინ დიურანის ახლობლები. სერიის მეორე გარჩევა საინტერესო იყო.

"მაიამმ" 91:85 მოიგო. ლებრონი გაიზარდა და ეს ლებრონი ბევრ პრობლემას აგვარებს. ლებრონმა ყველაზე რთული, ლებრონ ჯეიმსის პრობლემა მოაგვარა.

ხულიგნობის გამო წაგებული ფინალი

როგორ შეიძლება დამარცხდეს ჩოგბურთელი ერთ კონკრეტულ თამაშში? პირველი ვარიანტი უბრალოდ მარცხია, როდესაც მეტოქე უკეთ თამაშობს, მეორე მატჩისას ტრავმის მიღება და დანებება. სწორედ ამ ორ ვარიანტს ვიცნობთ ყველაზე კარგად, თუმცა, ყოფილა მესამეც - ხულიგნობის გამო ტექნიკური მარცხი. ასეთი რამ ჩოგბურთში არც ისე ხშირად ხდება. შესაძლოა, აქამდე არც მომხდარა. ლონდონში, ATP Queen's Club-ის ფინალში, არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი სწორედ ხულიგნობის გამო გამოაცხადეს დამარცხებულად.

ნალბანდიანი ფინალში მარინ ჩილიჩს ეთამაშებოდა. პირველი სეტი არგენტინელმა ანგარიშით 7:6 მოიგო. მეორე სეტში, როდესაც ანგარიში 4:3 იყო ჩილიჩის სასარგებლოდ, ნალბანდიანს რაღაცაზე ნერვები მოეშალა და სარეკლამო დაფას ფეხი ჩასცხო. დაფა ხაზის არბიტრის წინ იყო დამონტაჟებული. დაფის ნამსხვრევები და ნალბანდიანის მოქნეული ფეხი მსაჯს მოხვდა და სერიოზული ზიანი მიაყენა.

"ზოგჯერ კორტზე ემოციების კონტროლი შეუძლებელია. საწყენია, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. ჩოგბურთელებზე დიდი ზეწოლა მოდის. ATP-ს წარმომადგენლები თავადაც ცდებიან. დღეს მე შევცდი. არ მეგონა, თუ ფინალში ასეთი რამ მოხდებოდა," - თქვა ნალბანდიანმა.

კომენტარი ჩილიჩმაც გააკეთა: "ასე მოგება არ მინდოდა. თუმცა, რა ჩემი ბრალია. ბოდიშს ვუხდი გულშემატკივარს, რომ ყველაფერი ასე დასრულდა".

ბოდიში მხოლოდ ძაგოევმა მოიხადა

ევროპის პირველობაზე სრულიად უთავმოყვარეო გამოსვლის შემდეგ რუსეთის ეროვნული ნაკრები შინ დაბრუნდა. რუსთა ჰოლანდიელი თავკაცი დიკ ადვოკაატი ასევე შინ - ჰოლანდიაში გაემგზავრა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რუსეთის ნაკრებს მოსკოვის აეროპორტში ოვაციით არ დახვედრიან. მეტიც, ეროვნული გუნდის დასახვედრად მხოლოდ ჟურნალისტები მივიდნენ. ფეხბურთელებმა მათაც არ დაუფასეს გარჯა - კომენტარზეც კი უარი უთხრეს. არადა, ჟურნალისტებმა ბევრი იწვალეს, რომ ფეხბურთელები ენახათ. რუსეთის ნაკრების თვითმფრინავი "შერემეტიევოს" აეროპორტში უნდა დამჯდარიყო. ამის ნაცვლად, ის დასვეს "ვნუკოვო 3"-ში, რომელიც მხოლოდ სპეცრეისებს იღებს (ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ ნაკრები ჟურნალისტებისგან დაემალათ).

ჟურნალისტებთან ურთიერთობა მხოლოდ ალან ძაგოევმა იკადრა: "პირველ რიგში, მადლობა იმ გულშემატკივარს, ვინც პოლონეთში გვიჭერდა მხარს. ვცდილობდით, მაქსიმუმი გაგვეკეთებინა. საბერძნეთთან მატჩში გოლი გავუშვით. შემდეგ მეტოქე ყრუ დაცვას თამაშობდა. ჩვენგან მეტს ელოდნენ. საწყენია, რომ იმედი გაგიცრუეთ".

რუსული მედია ნაკრების მარცხს დიდ დროს და ადგილს უთმობს. ვრცელდება ახალ-ახალი ინფორმაციები. არშავინსა და გულშემატკივრებს შორის მომხდარი ინციდენტი უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

სასტუმროში მომხდარი ინციდენტის დროს არშავინმა გულშემატკივარს უთხრა: "ის, რომ გულშემატკივრის იმედი ვერ გავამართლეთ, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ეს თქვენი პრობლემაა. როცა დუმაში ვიქნები, მაშინ ჩაგაბარებთ ანგარიშს. წავაგეთ იმიტომ, რომ ვერ გავიტანეთ. ბერძნებმა კი გაიტანეს. ახლა ლაპარაკით საქმეს ვერ უშველი".

ამ დღეებში ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე გავრცელდა ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს, თუ როგორ ტოვებს რუსეთის ნაკრები ფეშენებელურ სასტუმრო "ბრისტოლს". ვიდეომასალაში ასევე კარგად ჩანს, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი სასტუმროში მეუღლესთან ერთად იყო, ზოგს კი პოლონეთში მთელი ოჯახი ჰყავდა წაყვანილი.

"რეინჯერსს" ფინანსური პრობლემები აქვს

"რეინჯერსი" სქოთური ფეხბურთის სახე, ყველაზე სოლიდური კლუბია. "სელტიკმა" მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი (1967) და 43-ჯერ მოხსნა ლოკალური გარჩევების ჯეკპოტი. "რეინჯერსი" შოტლანდიაში პირველზე 54-ჯერ გადის. კლუბმა 40 წლის წინ მოიგო უეფას თასი.

"რეინჯერსს" ფინანსური პრობლემები აქვს. ორგანიზაციამ სახელფასო დავალიანებების გამო ვერ გაიარა ლიცენზირება, ვერ წარადგინა აუცილებელი საბანკო გარანტიები, რის გამოც ვერ მოხვდა შოტლანდიის პრემიერლიგის მომავალ კალენდარში.

"რეინჯერსი" ეძებს სპონსორს. პრემიერლიგაში ვაკანტური ადგილი შეავსეს გუნდით Club 12, რომელიც შეიძლება გახდეს როგორც "რეინჯერსი", ისე ქვედა ლიგის რომელიმე წარმომადგენელი. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ ტურში Club 12 სტუმრად "კილმარნოკს" ხვდება.

რა თქმა უნდა - ესპანეთი და იტალია!

პირველი გვერდიდან

ხესუს ნავასის საგოლე დარტყმა

ესპანელთა ნახევარმცველმა ჩავიმ "სკუადრა აძურას" ქომაგები დაამშვიდა: "იტალია ჯგუფიდან გავა. ესპანური მენტალიტეტი შორსაა ფრეზე თამაშისგან. ჩვენ მოსაგებად ვიბრძოლებთ ხორვატიასთან, ისევე როგორც, ამას ვაკეთებდით სხვა მატჩებში. რაც შეეხება იტალიას, პრანდელის ხელში, მართლაც ბრწყინვალე ფორმაში არის. ის იმ გუნდს მაგონებს, 2006 წელს მუნდიალი რომ მოიგო"

ჯგუფში შექმნილ სატურნირო ვითარებაზე და ირლანდიასთან მატჩზე ჩეზარე პრანდელიმაც ილაპარაკა: "მგონია, რომ ესპანეთი თავის მატჩს მოიგებს. ირლანდიასთან თამაშზე უნდა ვიფიქროთ და სპეკულაციებს შევეშვათ. ჯოვანი ტრაპატონის გუნდი ჩვენს მიმართ მოწყალე არ იქნება, მათ ასევე გამარჯვება სურთ". აი, ასეთი ფორიაქი იყო თამაშების დაწყებამდე და როგორ დასრულდა ყველაფერი? დასრულდა იმით, რომ ესპანეთი და იტალია მეოთხედფინალში ითამაშებენ, ოღონდ საამისოდ ევროპული ფეხბურთის გრანდებს გვარიანი ბრძოლის გადახდა დასჭირდათ. ესპანელებმა ფეხბურთის გურმანებს აშკარად გაუცრუეს იმედები - ის თამაში ვერ აჩვენს, რასაც მათგან ელოდნენ და ამაში "დამნაშავენნი" ბილიჩის ბიჭები იყვნენ, 2:2 კი არა, ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი ვნახეთ და ისიც და შეცვლაზე შესული სესკ ფაბრეგასის ბრწყინვალე პასით, ინიესტას საგოლე გადაცემის და ხესუს ნავასის ცარიელი კარში გატანილი - თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე. ხორვატიამ ბოლომდე იბრძოლა, ეგ კი არა, მოედნის ცენტრიც არ დაუთმო ესპანელებს, მეორე ტაიმში ორი საგოლე მომენტიც შექმნა და "ფურია როხა' იკერ კასილიასმა იხსნა. მაგრამ კლასმა და პასკომბინაციამ ესპანეთი პირველ ადგილზე დატოვა ჯგუფში.

იტალიამ 2:0 მოუგი ირლანდიას, პირველ ნახევარში კასანოს თავურს, მეორე ტაიმის მიწურულს მარიო ბალოტელის გოლი მოჰყვა და ჯოვანი ტრაპატონის ირლანდია უქულოდ წავიდა ევრო 2012-დან.

C ჯგუფი.
ხორვატია - ესპანეთი
გოლები: 0:1 ნავასი (88)
იტალია - ირლანდია 2:0
გოლები: 1:0 კასანო (35), 2:0 ბალოტელი (90)

აბსოლუტური მაჩვენებელი - ხუთი ოქრო

გიგა გურასაშვილი

ბუენოს აირესის "მსოფლიო თასის" მეორე და დასკვნითი დღე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებისთვის, პირველის მსგავსად, 100-პროცენტიანი შედეგით დასრულდა. ოთხ წონით კატეგორიაში (81, 90, 100, მძიმე) გათამაშებული მედლებიდან სამს პეტერ ზაიზენბახერის შეგირდები დაეპატრონნენ (90 კგ-ის გარდა, საქართველოს ნაკრები ყველა წონაში იყო წარმოდგენილი). მედლები კი ოქროსია.

ხუთი ოქრო ბუენოს აირესიდან

არგენტინულ ტატამზე რიო დე ჟანეიროს "დიდ სლემზე" უფრო სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რამაც საქართველოს ნაკრების წევრებს გაუადვილა ასპარეზობა. ცხადი იყო, რომ ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ.), ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ.) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ.) მედლებს მოიპოვებდნენ. სასიხარულოა, რომ სამივე ჩემპიონი გახდა.

ერთი დღით ადრე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბეთქილ შუკვანი (60 კგ.) და ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ.). მონაგარი უფრო შთამბეჭდავი მოგეჩვენებათ, თუ ვიტყვით, რომ ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა არგენტინაში ხუთი ძიუდოისტი წაიყვანა. ხუთივემ წაუგებლად იასპარეზა.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ არგენტინაში, ისევე როგორც ბრაზილიაში, ერთი კვირით ადრე ნაკრებები მეორე და მესამე შემადგენლობებით ჩავიდნენ, რაც იმან განაპირობა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიები გათამაშებულია. ასე რომ, ეროვნული ფედერაციები აღარ ზრუნავენ ლონდონური საგზურებისა და რეიტინგში დაწინაურებისთვის.

ბუნებრივია, ამის გამო საქართველოს ნაკრების ხუთივე წევრი არგენტინულ ტატამზე პირველ ნომრად განითესა. ვერც რაოდენობრივი მხარე იყო მასპინძელთათვის საამაყო. შეხვედრები ძირითადად მეოთხედფინალებით იწყებოდა.

მაგალითად, ადამ ოქრუაშვილს ჩემპიონობისთვის ორი შეხვედრის მოგება ეყო. მისგან განსხვავებით, ავთანდილ ჭრიკიშვილი ბოლომდე გაისარჯა - ოთხი შეხვედრა ჩაატარა, ლომერ ჟორჟოლიანმა კი - სამი.

აბსოლუტური მაჩვენებლით ვაჟთა საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები გავიდნენ.

EUROPE-BET-ის საჩემპიონო საჩუქარი

მიხეილ აბაიშვილი

განვლილ 22 ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებულები საჩემპიონო ტიტულის მოგებით, როგორც წესი, მორალურ კმაყოფილებას იღებდნენ. ფინანსური თვალსაზრისით საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება საკლუბო ბიუჯეტში მაინცდამაინც დიდ ასახვას ვერ პოვებდა. თუმცა, 23-ე ეროვნული ჩემპიონატი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი გამოდგა. პირველ რიგში, ეს ტოტალიზატორ Europe-bet-ის დამსახურებაა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს გენერალურ სპონსორად მოევლინა და ჩემპიონისთვის სოლიდური პრემია - 100 000 დოლარი დააწესა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 16 ივნისს ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის არენაზე გაიმართა. ჩემპიონისთვის ოქროს მედლების გადასაცემად ზემო იმერეთს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე ეწვივნენ. "ზესტაფონის" ფეხბურთელებმა ჩემპიონის თასი და ოქროს მედლები ფედერაციის პირველი პირებისგან მიიღეს.

ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა კომპანია Europe-bet-ის გენერალური დირექტორი გიორგი გედევანიშვილი, რომელმაც "ზესტაფონის" კაპიტანს ზურაბ მამალაძეს 100 000-დოლარიანი ჩეკი გადასცა.